

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს არაუზრუნველყოფილი სესხების ხელშეკრულების ნიმუშს, სადაც განსაზღვრულია საკრედიტო პროდუქტით სარგებლობის ძირითადი პირობები და შესაძლებელია შეიცვალოს კონკრეტული პირის მიერ საკრედიტო პროდუქტით სარგებლობისას

## ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

საკრედიტო ხელშეკრულება N

თარიღი

### კრედიტის საპროცენტო განაკვეთი:

- კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
- კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი: \_\_\_\_%
- კრედიტის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: \_\_\_\_%

### ფინანსური ხარჯები:

- ყოველთვიური შენატანები: (ძირითადი თანხა + პროცენტი): \_\_\_\_; გრაფიკის შესაბამისად;
- ვადის ბოლოს შენატანი: \_\_\_\_
- კრედიტის დაჩქარებული წესით გაცემის ერთჯერადი საკომისიო: \_\_\_\_
- კრედიტის გაცემის ერთჯერადი საკომისიო: \_\_\_\_
- კრედიტის გაცემის ერთჯერადი საკომისიო: \_\_\_\_
- კრედიტის საფუძველზე მიღებული თანხის განკარგვის ყველაზე იაფი საკომისიო: \_\_\_\_
- სესხის ყოველთვიური მომსახურების საკომისიო: \_\_\_\_
- მიმდინარე ანგარიშის გახსნის/ბარათის დამზადების ერთჯერადი საკომისიო: \_\_\_\_
- ანგარიშის მომსახურების საკომისიო: \_\_\_\_
- დოკუმენტაციის წარმოდგენის ხარჯი: \_\_\_\_
- სიცოცხლის დაზღვევის თანხა: \_\_\_\_
- უზრუნველყოფის საგნის დაზღვევის თანხა: \_\_\_\_
- ავტომობილის დაზღვევის თანხა: \_\_\_\_
- შენატანის დაზღვევის თანხა: \_\_\_\_
- მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის თანხა: \_\_\_\_
- უძრავი ქონების შემთხვევაში: უზრუნველყოფის საგნებზე უფლებების რეგისტრაციის/რეგისტრაციის გაუქმების ან/და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობების მიღებასთან დაკავშირებული თანხა: \_\_\_\_
- ნოტარიუსის მომსახურების ხარჯები: \_\_\_\_

### სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია:

- კრედიტის თანხა და ვალუტა: \_\_\_\_
- მსესხებლის მიერ გადასახელი მთლიანი თანხის ოდენობა: \_\_\_\_
- კრედიტის გაცემის თარიღი: \_\_\_\_
- კრედიტის დაფარვის თარიღი: \_\_\_\_
- კრედიტის ვადა: \_\_\_\_ დღე
- საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა:
- კრედიტის დაფარვის პერიოდულობა: [თანდართული გრაფიკის შესაბამისად];
- იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის გაცემიდან ერთი თვის (იგულისხმება 30 კალენდარული დღე) განმავლობაში, მსესხებელს სხვა საბანკო დაწესებულებაში დაუმტკიცდება იდენტური პარამეტრების (იგულისხმება კრედიტის მიზნობრიობა, ვადა, ვალუტა და ოდენობა) მქონე სამომხმარებლო კრედიტი უკეთესი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და მსესხებელი წარმოადგენს აღნიშნულის დამადასტურებელ დოკუმენტს, მაშინ ბანკი:
  - ა) დააკორექტირებს კრედიტის საპროცენტო განაკვეთს ან ბ) კრედიტის სხვა საბანკო დაწესებულების მიერ გადაფარვის შემთხვევაში, დაუბრუნებს მსესხებელს მის მიერ გადახდილ კრედიტის გაცემის ერთჯერად საკომისიოს და ასევე, გაუუქმებს კრედიტის ვადაზე ადრე (წინსწრებით) დაფარვის საკომისიოს.
- ვადაგადაცილების პირგასამტეხლო: ერთჯერადად \_\_\_\_; დამატებით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული თანხის \_\_%, ვადაგადაცილების პერიოდში დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 %-ს ყოველდღიურად. აღნიშნული ოდენობის გაანგარიშებაში არ მონაწილეობს ერთჯერადი პირგასამტეხლო. ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1,5-მაგ ოდენობას.
- კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის საკომისიო:
- კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის საკომისიო: ა) თუ კრედიტის ვადის ბოლომდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა -0%; ბ) 6-დან 12 თვემდე- გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 0.5%; გ) 12-დან 24 თვემდე - 1%; დ) 24 თვეზე მეტი -2%. ამასთან, მსესხებლის მიერ კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს საშეღავათო პერიოდში დარიცხული და ჯერ გადაუხდელი საპროცენტო სარგებელი.

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილება:

ა) ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცალმხრივად ცვლილების შესახებ ბანკი ორი თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის

შემთხვევაში - ერთი თვით ადრე ატყობინებს მსესხებელს წერილობითი ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ელექტრონული ფოსტით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით ბ) მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო განაკვეთი - მაქსიმუმ წლიური 4 %-ით. ასეთ შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთის გაზრდის შესახებ ბანკი მსესხებელს ატყობინებს პროცენტის გაზრდიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წერილობითი ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ელექტრონული ფოსტით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით.

უცხოური ვალუტით აღებული სესხი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს! ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს ლარის შესაძლო 15%-იანი გაუფასურების შემთხვევაში გაანგარიშებული კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: \_\_\_% ბანკის წინაშე არსებული პრეტენზიები მსესხებელმა შეიძლება წარადგინოს ზეპირად ან წერილობით ბანკის ნებისმიერ გაყიდვის წერტილში სტანდარტული წერილობითი ფორმით, თავისუფალი წერილობითი ფორმით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: [info@vtb.ge](mailto:info@vtb.ge).

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდსა <http://nbg.gov.ge/cp> და ცხელ ხაზზე +995 (32) 2 406 406

საკრედიტო ხელშეკრულება N

თარიღი \_\_\_\_\_

ერთი მხრივ სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" --- (შემდგომ "ბანკი"), წარმოდგენილი --- სახით, მოქმედი მინდობილობის საფუძველზე და ---- (პირადი ნომერი: --- (შემდგომ "მსესხებელი"), მეორე მხრივ,

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## **მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ბანკი გასცემს სასყიდლიან კრედიტს სესხის ფორმით, ხოლო მსესხებელი იღებს ვალდებულებას, დააბრუნოს მიღებული კრედიტი, გადაიხადოს დარიცხული საპროცენტო სარგებელი/საკომისიო/პირგასამტეხლო და სრულად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

1.2 წინამდებარე ხელშეკრულების თავსართი (ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. წინამდებარე ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს „საკრედიტო ხელშეკრულების დამატებითი პირობები“, რომლებიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე vtb.ge, განყოფილებაში - „ხელშეკრულებები“.

1.4 კლიენტი ადასტურებს, რომ იგი გაეცნო „საკრედიტო ხელშეკრულების დამატებით პირობებს“ და ათვინობიერებს, რომ მათ აქვთ შესასრულებლად სავალდებულო ძალა და განსაზღვრავს მხარეთა უფლებებს და ვალდებულებებს, დაკავშირებულს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ კრედიტთან.

1.5 საშელავათო პერიოდი - დროის მონაკვეთი კრედიტის გაცემიდან გრაფიკით გათვალისწინებულ პირველ გადახდამდე. ამ პერიოდში დარიცხული პროცენტის გადახდა ხდება თანდართული გრაფიკის შესაბამისად, კერძოდ, გრაფიკით გათვალისწინებული გადახდები შეიცავს საშელავათო პერიოდში დარიცხულ, პროპორციულად გადანაწილებულ, საპროცენტო სარგებელს.

1.5 მსესხებლისათვის ცნობილია, რომ ბანკის წინაშე ერთზე მეტი მიმდინარე დავალიანების არსებობის შემთხვევაში, როდესაც დავალიანების დასაფარი თანხა საკმარისი არ არის ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული ვალდებულების სრულად შესასრულებლად, მსესხებელი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს ვალდებულებათა დაფარვის რიგითობა. თუ მსესხებელი არ გამოიყენებს აღნიშნულ უფლებამოსილებას დავალიანების დაფარვისას, კერძოდ, დავალიანების დაფარვის დოკუმენტში არ იქნება განსაზღვრული ვალდებულებათა დაფარვის რიგითობა, მაშინ ბანკი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს აღნიშნული რიგითობა.

## **მუხლი 2. დაკრედიტების ძირითადი პირობები**

### **2.1 კრედიტის მიზანი, ოდენობა და ათვისების პერიოდულობა:**

2.1.1. კრედიტის მიზანი: \_\_\_\_

2.1.2. კრედიტის თანხა: \_\_\_\_

2.1.2<sup>1</sup> მსესხებლის მიერ გადასახელი მთლიანი თანხის ოდენობა:

2.1.3. კრედიტის თანხიდან ფინანსური ხარჯების გამოკლებით მისაღები თანხა: \_\_\_\_

2.1.4. კრედიტის ვალუტა: \_\_\_\_

2.1.5. კრედიტის გაცემის თარიღი : \_\_\_\_

2.1.6. კრედიტის დაფარვის თარიღი :

2.1.7. კრედიტის ვადა: \_\_\_\_ დღე.

2.1.7<sup>1</sup>. საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა: \_\_\_\_

2.1.8. კრედიტის დაფარვის პერიოდულობა: (თანდართული გრაფიკის შესაბამისად), ამასთან გადახდა განხორციელებულად ჩაითვლება გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში, თუ შესაბამისი თანხები მსესხებლის მიერ გადახდილი იქნება გადახდის დღის 24:00 საათამდე (თბილისის დროით).

2.1.9. კრედიტის გატანის პერიოდულობა: \_\_\_\_

2.1.10. ხელშეკრულებით დაფინანსებული პროდუქტის ფასი პირდაპირი ანგარიშსწორებისას: \_\_\_\_

2.1.11. ხელშეკრულებით დაფინანსებული პროდუქტის ფასი საბანკო კრედიტით ანგარიშსწორებისას: \_\_\_\_

## 2.2. საპროცენტო განაკვეთები:

2.2.1. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი: \_\_\_\_%

ა) კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული

ბ) კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი: \_\_\_\_%

2.2.2. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: \_\_\_\_%

2.2.3. საპროცენტო განაკვეთის ზრდა:

[1] მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო განაკვეთი - მაქსიმუმ წლიური 4 %-ით. ასეთ შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთის გაზრდის შესახებ ბანკი მსესხებელს ატყობინებს პროცენტის გაზრდიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის<sup>1</sup> ვადაში წერილობითი ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ელექტრონული ფოსტით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით.

[2] ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო განაკვეთი საბაზრო პირობების ან კანონმდებლობის შეცვლის ან მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში. საპროცენტო განაკვეთის გაზრდის შესახებ ბანკი ორი თვით ადრე ატყობინებს მსესხებელს წერილობით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ელექტრონული ფოსტით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით. ამასთან, საპროცენტო განაკვეთის ზრდის ნაცვლად ბანკს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

[3] მსესხებელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მის მიმდინარე ანგარიშზე სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში“, ყოველი ერთი თვის განმავლობაში ჯამურად ჩაირიცხოს/შეტანილი იქნას მინ. 200 ლარი. თუ აღნიშნული ვალდებულება მსესხებლის მიერ დაირღვევა ზედიზედ სამი თვის განმავლობაში, ბანკი უფლებამოსილია, გაზარდოს სესხის საპროცენტო განაკვეთი არაუმეტეს წლიური 3 %-ით. ასეთ შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთის გაზრდის შესახებ ბანკი მსესხებელს ატყობინებს პროცენტის გაზრდიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წერილობითი ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ელექტრონული ფოსტით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით.

2.2.4 ბანკის მიერ მსესხებლის შეტყობინების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც საკრედიტო ხელშეკრულების ცვლილება ხორციელდება მსესხებლის სასარგებლოდ.

## 2.3 ფინანსური ხარჯი:

- ყოველთვიური შენატანები: (ძირითადი თანხა + პროცენტი): გრაფიკის შესაბამისად;
- კრედიტის დაჩქარებული წესით გაცემის ერთჯერადი საკომისიო:
- კრედიტის გაცემის ერთჯერადი საკომისიო:
- კრედიტის გაცემის ერთჯერადი საკომისიო:
- კრედიტის საფუძველზე მიღებული თანხის განკარგვის ყველაზე იაფი საკომისიო:
- სესხის ყოველთვიური მომსახურების საკომისიო:
- მიმდინარე ანგარიშის გახსნის/ბარათის დამზადების ერთჯერადი საკომისიო:
- ანგარიშის მომსახურების საკომისიო:
- დოკუმენტაციის წარმოდგენის ხარჯი:
- სიცოცხლის დაზღვევის თანხა:
- უზრუნველყოფის საგნის დაზღვევის თანხა:

<sup>1</sup> სამუშაო დღე - კალენდარული დღე გარდა შაბათისა, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული უქმე დღეებისა.

- ავტომობილის დაზღვევის თანხა:
- შენატანის დაზღვევის თანხა:
- მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის თანხა:
- მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევის თანხა:
- უზრუნველყოფის საგნებზე უფლებების რეგისტრაციის/რეგისტრაციის გაუქმების ან/და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობების მიღებასთან დაკავშირებული თანხა:
- უზრუნველყოფის საგნებზე უფლებების რეგისტრაციის/სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობების მიღებასთან დაკავშირებული თანხა:
- ნოტარიუსის მომსახურების ხარჯები:
- ერთობლივი ანგარიშით მომსახურების საკომისიო:

**„თუ დოკუმენტაციის წარმოდგენის ხარჯი აღმოჩნდება წინამდებარე ხელშეკრულებისაგან განსხვავებული ოდენობის, მსესხებელი უფლებამოსილია ამის შესახებ აცნობოს ბანკს რათა მოხდეს ხელშეკრულებაში მითითებული ინფორმაციის, მათ შორის ეფექტური საპროცენტო სარგებლის კორექტირება“**

## **2.4 სხვა მოსალოდნელი ხარჯები:**

2.4.1. ვადაგადაცილების პირგასამტეხლო: მსესხებლის მიერ გადახდის ვადის გადაცილებისას - ერთჯერადად \_\_\_; დამატებით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული თანხის \_\_\_%, რომლის დარიცხვაც მოხდება მხოლოდ გადახდის თარიღის დადგომიდან მე-10 დღის შემდეგ, ვადაგადაცილების პერიოდში დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა საერთო ჯამში, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 %-ს ყოველდღიურად. აღნიშნული ოდენობის გაანგარიშებაში არ მონაწილეობს ერთჯერადი პირგასამტეხლო. ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1,5-მაგ ოდენობას.

2.4.2 ვადაზე ადრე დაფარვის საკომისიო: ა) თუ კრედიტის ვადის ბოლომდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა - 0%; ბ) 6-დან 12 თვემდე-გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 0.5%; გ) 12-დან 24 თვემდე - 1%; დ) 24 თვეზე მეტი -2%.

ამასთან, მსესხებლის მიერ კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს საშეღვათო პერიოდში დარიცხული და ჯერ გადაუხდელი საპროცენტო სარგებელი.

2.4.3 მსესხებელს წინსწრებით დაფარვის საკომისიო არ დაეკისრება:

2.4.3.1. კრედიტის ყოველთვიური შენატანის სამმაგ ოდენობამდე/ჩათვლით თანხით, თვეში ერთჯერადად კრედიტის წინასწარ დაფარვის შემთხვევაში.

2.4.3.2. კრედიტის ვადის ბოლომდე დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი.

2.4.3.3. კრედიტის რეფინანსირება მთლიანად ან ნაწილობრივ ხდება ბანკის მიერ გაცემული ახალი კრედიტით.

2.4.3.4. კრედიტის წინსწრებით დაფარვა ხდება ბანკის მოთხოვნით.

2.4.3.5. კრედიტის წინსწრებით დაფარვა ან რეფინანსირება ხდება ბანკის მხრიდან საკრედიტო ხელშეკრულებებში შესატან ცვლილებებზე მსესხებლის ან/და არსებობისას თავდების/უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის მხრიდან დაუთანხმებლობის მიზეზით.

2.4.3.6 კრედიტი იფარება კრედიტის დაფარვის უზრუნველსაყოფად დადებული დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში.

## **2.5. კრედიტის დაფარვა: (თანდართული გრაფიკის შესაბამისად)**

**2.6. საბანკო კრედიტი უზრუნველყოფილია შესაბამისი უზრუნველყოფის/თავდებობის ხელშეკრულებებით. ბანკი უფლებამოსილია შესაბამისი უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრეს ან/და**

თავდებს მიაწოდოს წინამდებარე ხელშეკრულების თავსართი, ხელშეკრულების ასლი ან/და მსესხებლის მიერ ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

**2.6<sup>1</sup>.** მსესხებელი მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებები, მათ შორის, მიმდინარე ანგარიშების დაყადაღება, მსესხებლის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების, ასევე უზრუნველყოფის საგნის კრედიტის დასაფარად რეალიზაცია და სხვა.

## **2.7 დაზღვევა:**

### **2.8. განსაკუთრებული პირობები:**

2.9. მსესხებელი თანახმაა მასზედ, რომ კრედიტის ნაწილის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში, ბანკი ცალმხრივად შეცვლის კრედიტის დაფარვის გრაფიკს [პერიოდული შენატანის ოდენობას ან კრედიტის ვადას მსესხებლის სურვილისამებრ] და მსესხებელი ვალდებული იქნება კრედიტი დაფაროს ამ ახალი გრაფიკის მიხედვით.

2.10. კრედიტის ნაწილის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში, თუ მსესხებელი არ გამოხატავს ნებას რომ შემცირდეს კრედიტის ვადა, ბანკი ამცირებს პერიოდული შენატანის ოდენობას.

2.11. მსესხებლის მიერ საკრედიტო ვალდებულებების შესასრულებლად შემოტანილი ან ჩარიცხული თანხებიდან პირველ რიგში იფარება დაზღვევის პრემია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდგომ სესხიდან გამომდინარე: საკომისიო გადასახდელები, პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული საპროცენტო სარგებელი და ბოლოს - კრედიტის ძირითადი თანხა. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს ბანკის შეხედულებისამებრ.

2.12. წინამდებარე პუნქტის თანახმად ბანკი აცხადებს, რომ მსესხებლის გარდაცვალების შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებას არ წაუყენებს მსესხებლის მემკვიდრეებს ან/და სხვა ვალდებულ პირებს (მაგალითად თავდებს). ბანკის მიერ წინამდებარე პუნქტით გამოხატული უფლების თვითშეზღუდვა არ მოქმედებს თუ მსესხებლის გარდაცვალება გამოიწვია 1) ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედებამ ან 2) მსესხებელმა ჩაიდინა თვითმკვლელობა ან 3) მსესხებელი გარდაიცვალა მის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ან ჩადენის მცდელობის დროს.

2.13. მსესხებლისთვის ცნობილია, რომ დანართით განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მზღვეველისთვის ანგარიშსწორება (გადახდა) ხდება ლარში, რაც გულისხმობს, რომ მსესხებლის ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრა ხდება დანართით მითითებულ ვალუტაში და თუ აღნიშნული ვალუტა განსხვავებულია საქართველოს ეროვნული ვალუტისაგან, მზღვეველს თანხა გადაერიცხება თანხის ლარში კონვერტაციის შემდეგ.

### **მუხლი 3. ინფორმაციის მიღებასთან ან/და გაცემასთან დაკავშირებული მხარეთა უფლება - მოვალეობები**

3.1. მსესხებელი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს მსესხებელთან და ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოიყენოს ვი თი ბი ჯგუფის ჯგუფური ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ასევე გადასცეს ბანკის აქციონერს ან ვითიბი ჯგუფის ნებისმიერ წევრს.

3.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში, დავალიანების მსესხებლისგან ამოღების მიზნებისათვის, მსესხებელი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს მსესხებელთან და ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გადასცეს მესამე პირებს.

3.3. ბანკი უფლებამოსილია გადასცეს მსესხებელთან და ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია მესამე პირს ბანკის მიერ მსესხებლის მიმართ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არსებული მოთხოვნის დათმობის მიზნით.

3.4. ბანკი უფლებამოსილია მსესხებელთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი მიაწოდოს გარე აუდიტორს, რომელიც ბანკს უწევს პროფესიულ მომსახურებას.

3.5. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით თანხმობას ვაცხადებ, რომ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩემი იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის ან/და საბანკო მომსახურების მიღების მიზნით და ამ მიზნების განსახორციელებლად, საჭირო მოცულობით მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები.

3.6. კონტრაქტი უცხადებს ბანკს - ჩემთვის ცნობილია, რომ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ შეაგროვებს/დაამუშავებს ჩემს შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება ჩემი გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით [სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები]. ჩემი მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამამუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ უფლებამოსილია ჩემი სასესხო/გარესაბალანსო ვალდებულებების მოქმედების პერიოდში განახორციელოს ჩემი საკრედიტო, არასაკრედიტო და სხვა რელევანტური ინფორმაციის გადამოწმება ბიუროში ჩემი დამატებითი თანხმობის გარეშე, ჩემი გადამხდელუნარიანობის შეფასების მიზნებისათვის.

3.7. ბანკის წინაშე არსებული პრეტენზიები მსესხებელმა შეიძლება წარადგინოს ბანკში არსებულ პროცესებისა და მომსახურების ხარისხის მონიტორინგის ჯგუფში წერილობით (თავისუფალი ან სტანდარტული ფორმით) ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით თავსართში მითითებული გზით. პრეტენზიაზე პასუხი გაცემული იქნება პრეტენზიის მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

პრეტენზიების განხილვის პროცედურა შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე: [vtb.ge](http://vtb.ge).

#### **მუხლი 4. ხელშეკრულების შეწყვეტა**

##### **4.1.**

ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მსესხებელს კრედიტის სრული ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის, პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა, აგრეთვე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ხოლო მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეასრულოს ეს მოთხოვნები, იმ შემთხვევაში თუ კრედიტის ან/და საპროცენტო სარგებლის ეტაპობრივად დაფარვის შემთხვევაში მსესხებელი გადააცილებს დაფარვის სულ მცირე ზედიზედ ორ ვადას და ბანკის შეტყობინების გაგზავნიდან ორი კვირის ვადაში სრულად არ იქნება დაფარული ვადაგადაცილებული დავალიანება.

4.2. ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა საფუძვლები მითითებულია ბანკის ვებ გვერდზე [vtb.ge](http://vtb.ge) განთავსებულ „საკრედიტო ხელშეკრულების დამატებით პირობებში“.

4.3. ბანკის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში მსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტამდე ნაკისრი ვალდებულებები რჩება ძალაში, მათ შორის ბანკი უფლებამოსილია გააგრძელოს დარჩენილ დავალიანების თანხაზე პროცენტის და პირგასამტეხლოს დარიცხვა.

#### **მუხლი 5. დავათა გადაწყვეტა**

5.1. ნებისმიერი დავა გამომდინარე წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მასთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან,



ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან (მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან), ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას“ (საიდენტიფიკაციო N205267389), რომლის იურისდიქციას მხარეები აღიარებენ ანულირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას.

5.2. მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ კორესპოდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპოდენცია (მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა.შ.) ჩაითვლება ჩაბარებულად (შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით).

## **მუხლი 6. დასკვნითი დებულებები**

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებათა სრულ შესრულებამდე.

6.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებებისა და დამატების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით და ისინი განიხილება, როგორც ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილები.

6.3. მხარეთა შორის კომუნიკაცია განხორციელდება „საკრედიტო ხელშეკრულების დამატებითი პირობებით“ განსაზღვრული წესით, რომლებიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე [vtb.ge](http://vtb.ge), განყოფილებაში - „ხელშეკრულებები“.

6.4. ხელშეკრულების პუნქტები, რომლებიც არ არის შევსებული ანუ მონაცემის მაგივრად მითითებულია ნიშანი „ტირე“, არ მოქმედებს მსესხებელთან მიმართებაში.

6.4<sup>1</sup> წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეთა შორის გათვალისწინებული ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.4<sup>2</sup> მხარეთა შორის ურთიერთობა/კომუნიკაცია განხორციელდება ქართულ ენაზე.

6.4<sup>3</sup> სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სახედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2).

6.5. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მსესხებელს, ხოლო ერთი რჩება ბანკში.

## **მუხლი 7. მხარეთა რეკვიზიტები:**

"ბ ა ნ კ ი"	"მ ს ე ს ხ ე ბ ე ლ ი"
-------------	-----------------------

სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია" ს/კ 202906427, საბანკო საქმიანობის ლიცენზია N226ა	(სახელი, გვარი)
ფილიალის დასახელება:	პ/ნ
მისამართი	გამც.ორგ.
წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი:	მისამართი:
(995 32) 2242424	ტელ.: ელ.ფოსტა: